დასაქმების და შემოსავლების დინამიკა საქართველოში

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

გამოცემა #123 07.10.2020

• 2020 წლის აგვისტოში, ხელფასების მიმღებთა რიცხვი თითქმის სრულად დაუბრუნდა წინა წლის მაჩვენებელს და მხოლოდ 1%-ით ჩამორჩებოდა მას. ხელფასების მიმღებთა რიცხვმა 2020 წლის აგვისტოში 765 567 ადამიანს შეადგინა.
• 2020 წლის იანვარი-აგვისტოს პერიოდში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ხელფასების მიმღებთა რაოდენობა ყველაზე მეტად მაისში შემცირდა - 9%-ით (74 951) და 755 649-ს გაუტოლდა.
• აპრილში 4 მაღალშემოსავლიან კატეგორიაში (5 – დან) ხელფასების მიმღებთა რიცხვი შემცირდა, ხოლო აგვისტოში მდგომარეობა თითქმის დაუბრუნდა წინა წლის მაჩვენებლებს. აპრილში ყველაზე დიდი შემცირება (-23%) დაფიქსირდა იმ პირთა კატეგორიაში, რომელთა შემოსავალი აღემატებოდა 4800 ლარს.
• 2020 წლის მეორე კვარტალში, დასაქმებულთა საშუალო თვიურმა შემოსავალმა 1150.1 ლარი შეადგინა, რაც 3%-ით ჩამორჩება 2019 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.
• HR.ge–დან და Jobs.ge–დან მოპოვებული მონაცემების მიხედვით, მარტში, ახალ თანამშრომლებზე მოთხოვნამ შემცირება დაიწყო და კიდევ უფრო შემცირდა აპრილში, როდესაც HR.ge–სა და Jobs.ge–ზე ვაკანსიების რაოდენობა, წინა წლის ვაკანსიების რაოდენობასთან შედარებით, შესაბამისად, 87%-ითა და 78%–ით შემცირდა. ვაკანსიების რაოდენობამ წინა წლის შესაბამის მაჩვენებლებთან დაბრუნება მაისში დაიწყო, თუმცა აგვისტოში კლება კვლავ მაღალი იყო.

COVID-19 პანდემიამ და მისგან გამოწვეულმა „დიდმა ლოქდაუნმა“ (“Great Lockdown”) მთელი მსოფლიოს მასშტაბით სამუშაო ადგილების დროებით დახურვა გამოიწვია. შეჩერებული ეკონომიკური აქტივობის გამო, ბიზნესებს მოუწიათ თანამშრომლების სამსახურიდან გათავისუფლება. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) თანახმად, 2020 წლის მეორე კვარტალში, გლობალური მასშტაბით სამუშაო საათების 14% დაიკარგა, რაც დაახლოებით 400 მლნ სრულგანაკვეთიანი სამუშაო ადგილის ექვივალენტია. ILO-ს თანახმად, მოლოდინები შედარებით პოზიტიურია 2020 წლის მეორე ნახევრისთვის, რადგან „ლოქდაუნის“ ძირითადი ფაზა უკვე დასრულდა. თუმცა, ჯერ კიდევ ნაკლებად სავარაუდოა, რომ დასაქმების მაჩვენებელი 2020 წლის ბოლოსთვის პანდემიამდელ ნიშნულს დაუბრუნდეს. ILO-ს პესიმისტური სცენარის პირობებში, რომელიც პანდემიის მეორე ტალღას ითვალისწინებს, 2020 წლის მე–4 კვარტალში სამუშაო საათების 11,9%–ით კლება არის ნავარაუდევი. ეკონომიკური მიმოხილვისა და ინდიკატორების ამ გამოშვებაში, მიმოვიხილავთ 2020 წელს, საქართველოში დასაქმების ყოველთვიურ დინამიკას, რათა წარმოდგენა შევიქმნათ, თუ როგორი გავლენა მოახდინა „ლოქდაუნმა“ დასაქმების მაჩვენებელზე და არის თუ არა უახლოეს მომავალში სამუშაო ადგილების სრული აღდგენა მოსალოდნელი.

2020 წლის აპრილიდან, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ხელფასების მიმღებთა რიცხვმა, შემცირება დაიწყო.

2020 წლის იანვარი-მაისის პერიოდში, მაისში ხელფასების მიმღებთა რიცხვმა, 2019 წლის მაისთან შედარებით, ყველაზე დიდი ვარდნა განიცადა - 9%-ით (74 951) და 755 649-ს გაუტოლდა. ამასთან, წლიურმა ზრდის მაჩვენებელმა, ივნისი-ივლისის პერიოდში მცირე გაუმჯობესება დაიწყო და შესაბამისად –5% და –4% მიაღწია. აგვისტოში კლება -1%-ს შეადგენდა, შესაბამისად ხელფასების მიმღებთა რიცხვი თითქმის დაუბრუნდა წინა წლის მაჩვენებელს და 765 567 შეადგინა.



წყარო: შემოსავლების სამსახური

2020 წლის განმავლობაში ხელფასის მიმღებთა რაოდენობის შედარება, 2019 წლის შესაბამის თვესთან, ხელფასების სხვადასხვა დიაპაზონის მიხედვით, საინტერესო დაკვირვებების გაკეთების საშუალებას იძლევა. შოკის პირობებში ყველაზე ნაკლები კლება დაფიქსირდა 1201–დან 2400 ლარამდე ხელფასის მიმღებთა კატეგორიაში, რადგან აპრილში ასეთი ადამიანების რიცხვი მხოლოდ 2%–ით შემცირდა (წლიდან წლამდე). მათი რაოდენობა მაისსა და ივნისში სწრაფად დაუბრუნდა ზრდის ტენდენციებს, მხოლოდ 1%–ით შემცირდა ივლისში და 3%-ით გაიზარდა აგვისტოში.

შემოსავლის ერთი კატეგორიიდან მეორეში გადასვლა (უფრო მაღალი კატეგორიიდან, უფრო დაბალში) შესაძლოა იყოს გამოვლენილი “მდგრადობის“ კიდევ ერთი სარწმუნო ახსნა.



წყარო: შემოსავლების სამსახური

საინტერესოა, რომ უფრო მაღალშემოსავლიან კატეგორიებში ხელფასის მიმღებთა რაოდენობის კლება შედარებით დიდი იყო. მათ შორის ყველაზე დიდი შემცირება (-23%) აპრილში დაფიქსირდა, კერძოდ 4800 ლარზე მეტი ხელფასის მქონე კატეგორიაში. საერთო ჯამში, აპრილის თვეში მოხდა ხელფასის მიმღებთა რაოდენობის ყველაზე დიდი შემცირება 4 მაღალშემოსავლიან კატეგორიაში. მაისში, ამ სახელფასო კატეგორიებში დასაქმებულთა რაოდენობის კლება შედარებით დაბალი იყო. იგი თითქმის დაუბრუნდა საბაზისო მაჩვენებელს ივნისსა და ივლისში, ხოლო უკვე სრულად აღდგა აგვისტოში. აღსანიშნავია ისიც, რომ ივლისში 2401-3600 ლარის სახელფასე კატეგორიაში მყოფი ადამიანების რაოდენობა 19%-ით გაიზარდა. ამრიგად, 4 კატეგორიას ჰქონდა მსგავსი დინამიკა, ცვლილებების მასშტაბები კი განსხვავებული იყო თითოეული მათგანისთვის.

რაც შეეხება დაბალშემოსავლიან კატეგორიას (1200-ლარზე ნაკლები), ამ კატეგორიისთვის ხელფასების მიმღებ პირების რაოდენობების დინამიკა საკმაოდ განსხვავებული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ კატეგორიაში ხელფასების მიმღებთა რაოდენობა აპრილში შედარებით ნაკლებად, 8%-ით შემცირდა, მაისში კლება უფრო მაღალ, 12%-ს გაუტოლდა. საბაზისო მაჩვენებელთან დაბრუნება არ შეინიშნებოდა შემდეგ თვეებში, რადგან ივნისსა და ივლისში ხელფასის მიმღებთა რაოდენობა შემცირდა შესაბამისად 9%-ითა და 8%-ით. აგვისტოში, ეს მაჩვენებელი საბაზისო ნიშნულს დაუბრუნდა (0.5%-ით შემცირება). აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ კატეგორიისთვის ფარდობითი (პროცენტული) ცვლილებები შეიძლება უფრო მცირე იყოს, ვიდრე სხვა კატეგორიების ფარდობითი შემცირება, ამ კატეგორიაში შემცირებას გააჩნია ბევრად დიდი წონა, რადგან ამ კატეგორიაში ხვდება დასაქმებული ადამიანების დაახლოებით სამი მეოთხედი. მცირე პროცენტული ვარდნის დამატებითი ახსნა შესაძლოა იყოს მაღალშემოსავლიან კატეგორიებში მყოფი ადამიანების დაბალშემოსავლიან კატეგორიაში გადასვლა.

მნიშვნელოვანია დასაქმებულების საშუალო თვიური ხელფასების შედარება, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში, ეკონომიკური აქტივობების მიხედვით. მთლიანი საშუალო ხელფასი 2020 წლის მეორე კვარტალში, 2019 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, შემცირდა 3%-ით და შეადგინა 1150.1 ლარი.

ფინანსები რჩება ყველაზე მაღალშემოსავლიან ეკონომიკურ აქტივობად, მიუხედავად 15%-იანი შემცირებისა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, და საშუალო ხელფასმა ფინანსების სფეროში შეადგინა 2040.9 ლარი. განათლება ყველაზე დაბალშემოსავლიანი ეკონომიკური აქტივობა იყო 2019 და 2020 წელსაც, მიუხედავად მისი 15%-იანი ზრდის მაჩვენებლის 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით. 2020 წლის მეორე კვარტალში განათლებაში დასაქმებულების საშუალო თვიური ხელფასი შეადგენდა 730.9 ლარს.

ყველაზე დიდი ხელფასების პროცენტული კლება 2020 წლის მეორე კვარტალში, 2019 წლის მეორე კვარტალთან შედარებით, ხელოვნების და გართობის სფეროში მოხდა 23%-ით. ყველაზე დიდი ხელფასების პროცენტული ზრდა სხვა აქტივობებში (40%) და სოფლის მეურნეობაში მოხდა (18%).



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



წყარო: HR.ge

ახალი ვაკანსიების განთავსების რაოდენობა შეიძლება ჩაითვალოს დასაქმებაზე მოთხოვნის ერთ-ერთ საზომად. მონაცემები 2019 და 2020 წლებში თვიურად გამოქვეყნებული ახალი ვაკანსიების რაოდენობის შესახებ მოგვაწოდა საქართველოში ვაკანსიების განთავსების ორმა წამყვანმა ვებსაიტმა, HR.ge-მ და Jobs.ge-მ. HR.ge–ის მონაცემების თანახმად, 2020 წლის დასაწყისში დასაქმებაზე მოთხოვნა მაღალი იყო - ახალი ვაკანსიების რაოდენობა იანვარსა და თებერვალში, წინა წელთან შედარებით გაიზარდა, 31%-ითა და 35%-ით, შესაბამისად.

მარტში აღინიშნება მოთხოვნის კლების პირველი ნიშნები, ხოლო აპრილში განთავსებული ვაკანსიების ყველაზე მაღალი კლება დაფიქსირდა (-87%), ქვეყანაში გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის გამო. მაისში განთავსებული ვაკანსიების შემცირება კვლავ მაღალი იყო და -55%-ს უტოლდებოდა, თუმცა ივნისსა და ივლისში აღნიშნული მაჩვენებელი -16%-ს და -11%-ს გაუტოლდა. აგვისტოს თვეში უფრო მაღალი ვარდნა (-21%) შესაძლოა, განპირობებული იყოს ტურიზმთან დაკავშირებულ სექტორებში მუშახელზე მოთხოვნის შემცირებით.

Jobs.ge–დან მიღებული მონაცემების თანახმად, გამოქვეყნებული ვაკანსიების საერთო რაოდენობამ შემცირება მარტში დაიწყო (შემცირდა 30%-ით), გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. შემცირებამ პიკს აპრილში მიაღწია(შემცირდა 78%-ით). კლების ტენდენცია გაგრძელდა 2020 წლის მაისში (-57%) და ივნისსა და ივლისში (-29%). აგვისტოში ვარდნა ოდნავ მაღალი იყო (ვაკანსიების ზრდის საერთო ტემპი, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, იყო -36%). აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ჯანდაცვა, სამართალი და ინფორმაციული ტექნოლოგიები იყო ის საქმიანობები, რომელთა ვაკანსიებსაც პერიოდულად ჰქონდათ დადებითი ზრდის მაჩვენებლები (წლიდან წლამდე) 2020 წლის მარტი-აგვისტოს პერიოდში.

ცხრილი 1 : 2020 წლის იანვარ-აგვისტოში Jobs.ge-ზე გამოქვეყნებული ვაკანსიების ზრდის მაჩვენებლები, 2019 წლის იანვარ-აგვისტოსთან შედარებით.

	2020 იან/ 2019 იან	2020 თებ/ 2019 თებ	2020 მარ/ 2019 მარ	2020 აპრ/ 2019 აპრ	2020 მაი/ 2019 მაი	2020 ივნ/ 2019 ივნ	2020 ივლ/ 2019 ივლ	2020 აგვ/ 2019 აგვ
ადმინისტრირება/ მენეჯმენტი	33%	16%	-44%	-78%	-57%	-29%	-38%	-36%
გაყიდვები/შესყიდვები	61%	37%	-34%	-88%	-66%	-37%	-35%	-33%
ფინანსები	62%	49%	-23%	-79%	-56%	-26%	-22%	-28%
პიარი/მარკეტინგი	57%	16%	-28%	-84%	-63%	-35%	-31%	-46%
ტექნიკური/ლოჯისტიკა	72%	61%	-23%	-78%	-56%	-29%	-31%	-41%
ინფორმაციული ტექნოლოგიები	58%	37%	-38%	-31%	-24%	9%	-5%	-18%
სამართალი	18%	20%	2%	-79%	-22%	-20%	14%	-10%
ჯანდაცვა	5%	49%	-25%	-81%	-44%	35%	11%	-19%
სხვა	24%	19%	-20%	-78%	-61%	-44%	-30%	-48%
მთლიანი	51%	37%	-30%	-78%	-57%	-29%	-29%	-36%

წყარო: Jobs.ge

დასაქმების სხვადასხვა მაჩვენებელზე დაკვირვების შედეგად ჩანს, რომ შემცირდა როგორც მოთხოვნა სამუშაო ძალაზე, ასევე დასაქმებულთა რაოდენობა, განსაკუთრებით „ლოქდაუნის“ პერიოდში. ამასთან, თვითდასაქმებულთა რაოდენობის კლება შესაძლოა კიდევ უფრო მაღალი იყოს და მათი სამუშაოების აღდგენა - კიდევ უფრო რთული. პოზიტიური ფაქტია რომ, მიუხედავად შოკის მოულოდნელობისა, იგი ბუნებით დროებითი იყო და შესაბამისად, დასაქმების დინამიკაში გარკვეული გაუმჯობესება უკვე აშკარაა, განსაკუთრებით ივნისში, ივლისსა და აგვისტოში. აგვისტოში მაჩვენებლები თითქმის დაუბრუნდა საბაზისო დონეს. მიუხედავად ამისა, ნაადრევია დასკვნის გაკეთება, რომ დასაქმება სრულად აღდგა, და უაღრესად მნიშვნელოვანია დასაქმების ტენდენციების შემდგომი მონიტორინგი.

*წინასწარი მონაცემები

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2016	2017	2018	2019	2020 Q1	2020 Q2
ნომინალური მშპ (მლნ. აშშ დოლარი)	15 141.7	16 248.5	17 596.6	17 736.6*	3 780.3*	3 572.5*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4 062.1	4 358.5	4 722.0	4 763.5*	1 017.1*	961*
მშპ რეალური ზრდა (%)	2.9%	4.8%	4.8%	5.1%*	2.2%*	-12.3%*
ინფლაცია	2.1%	6.0%	2.6%	4.9%	-	-
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1 650.3	1 962.6	1 265.2	1 267.7*	165.4*	237.8*
უმუშევრობის დონე (%)	14.0%	13.9%	12.7%	11.6%	11.9%	12.3%
სახელმწიფო საგარეო ვალე (მლნ აშშ დოლარი)	4 516	5 177	5 434	5 741	5 688	6 143
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	21.0%	22.3%	20.5%	20.1%	-	-